საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4262
08/08/2022

4262-21-2-202208081828

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

თქვენი 2022 წლის 22 ივლისის №06-1422202581 წერილის პასუხად (სააგენტოს რეგისტრაციით №19860; 12.07.2022), რომელიც ეხება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, „ქ. ბათუმში, დასახლება მეჯინისწყალში (ფ. ხალვაშის ქ. 188) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.32.09.877) საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის მიზნით მომზადებული განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციისა“ და სკრინინგის განცხადების წარმოდგენას, გაცნობებთ შემდეგ შენიშვნებს:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ უნდა იქნას ზოგადი ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების ზემოქმედების ხასიათისა და ზემოქმედებისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიის მახასიათებლების შესახებ, მათ შორის:

  1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საკითხები (გაფრქვევის წყაროები და მავნე ნივთიერებები); სკრინინგის განცხადების თანახმად, დოკუმენტის განხორციელების შედეგად, ადგილი ექნება მშენებლობით გამოწვეულ ხმაურსა და შესაძლო ვიბრაციას; წყლის დაბინძურებას; შესაძლებელია ზემოქმედება ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე, შესაბამისად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერზე ზემოქმედების შესახებ;

  2. წარმოდგენილი უნდა იქნას ნიადაგზე ზემოქმედების საკითხები (მათ შორის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სისქე, მოხსნის და დასაწყობების შესახებ და ა.შ);

  3. უნდა იყოს იდენტიფიცირებული ხმაურის გავრცელების წყაროები, ასევე ზემოქმედების დონე (მაღალი, საშუალო, დაბალი); ამასთან, კონცეფციის თანახმად, ხმაურის წყაროების მიმართ გაზომვები ჩატარდება სგშ-ის ფარგლებში, მისი ჩატარების საჭიროებას დაადგენს შესაბამისი

უფლებამოსილი უწყება. შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული საკითხის დაზუსტება;

4. სკრინინგის განცხადებაში რეგიონის დონეზეა განხილული ტერიტორიის მახასიათებლები. ამასთან, არ არის წარმოდგენილი კონცეფციის დოკუმენტში მითითებული საბაზისო მონაცემები.

- წარმოდგენილ უნდა იქნას სტრატეგიული დოკუმენტის მნიშვნელობა გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირების თვალსაზრისით, კერძოდ, მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის, ასევე სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებული ზოგადი გარემოსდაცვითი ასპექტები;

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები მოცემულია ზოგადად. როგორც ანგარიშის ავტორები უთითებენ, წარმოდგენილი ინფორმაცია არის ამონარიდები გეოლოგიური ანგარიშიდან, რომელიც წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან არ ახლავს. წარმოდგენილ უნდა იქნას შესაბამისი ანგარიში;

- წარმოდგენილ იქნას კლიმატის ცვლილების რისკები და საბაზისო მონაცემების/ინფორმაციის ანალიზი კლიმატის ცვლილების ასპექტებთან დაკავშირებით, კლიმატური პირობების აღწერისას მითითებული უნდა იქნას გამოყენებული ინფორმაციის წყაროები. მიზანშეწონილია დაგეგმილი საქმიანობა განხორციელდეს სამშენებლო-კლიმატური ნორმების გათვალისწინებით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად (იხ. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტი ,,სამშენებლო კლიმატოლოგია”);

- სკრინინგის განცხადებასა და სტრატეგიულ დოკუმენტის ტექსტურ ნაწილში წარმოდგენილია ინფორმაცია საცხოვრებელი ზონა-3-ის კოეფიციენტების შესახებ, თუმცა ტექსტურად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ნაკვეთების მიხედვით, ცვლილებით მოთხოვნილი კოეფიციენტების მნიშვნელობების შესახებ. ამასთან, კონცეფციის 31-ე გვერდზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით „დაგეგმილ განვითარებას ესაჭიროება კ2 გადამეტება 11-ვე განაშენიანებისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე, სადაც მინიმალური გადამეტებაა 0.4 ერთეული (კ2=2.6) და მაქსიმალური 4.9 ერთეული (კ2=6.7).“ დოკუმენტში მოცემულია მინიმალურ გადამეტებასთან დაკავშირებული დიაპაზონი ზოგადად. საჭიროა, ტექსტურ ნაწილში მოცემული იყოს თითოეული ზონისთვის განსაზღვრული კოეფიციენტების მაჩვენებლები (კონცეფციის გრაფიკული ნაწილის შესაბამისად) და შენობების სართულიანობა;

- სკრინინგის განცხადებაში აისახოს ინფორმაცია სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი განაშენიანების სიმაღლის ზედა ზღვარის შემზღუდავი შემდეგი ფაქტორის შესახებ: “გეგმარებითი ერთეული მდებარეობით ბათუმის აეროდრომის რაიონში, სადაც მოქმედებს აეროდრომის უსაფრთხოების რეჟიმი „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის შესაბამისად.

წინასწარი მონაცემებით აღნიშნული შეადგენდა 56 მ ზღვის დონიდან, საბოლოოდ დადასტურებული მონაცემებით კი — 56.38 მ ზღვის დონიდან"; შესაბამისად, წარმოდგენილ იქნას დოკუმენტში მითითებული შპს ,,ბათუმის აეროპორტთან" საკითხის თაობაზე შეთანხმების წერილი.

- სკრინინგის განცხადების პირველი თავი, სახელად "სკრინინგის ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი", უნდა შეესაბამებოდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის კონსოლიდირებულ ვერსიას;

- წარმოდგენილ უნდა იქნას სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ვადები და შესაბამისად, ზემოქმედების ხანგრძლივობა, ასევე საპროექტო ტერიტორიის ათვისებისა და დოკუმენტით დაგეგმილი საქმიანობების განხორციელების ეტაპები;

- წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ უნდა იქნას ინფორმაცია საგზაო მოძრაობის სქემისა და საერთო სარგებლობის გამწვანებულ სივრცეებზე ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაცია რეკრეაციული ტერიტორიების შესახებ ან/და მათი განაწილების თაობაზე ერთ სულ მოსახლეზე. ტერიტორიები, რომელთაც შემდგომ მიენიჭებათ შესაბამისი სარეკრეაციო ზონალობა უნდა აისახოს რუკაზე, მოხდეს მათი გამიჯვნა საცხოვრებელი და სხვა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონებისგან, რათა თავიდან იქნას აცილებული სარეკრეაციო ტერიტორიების ფართობის შემცირება. ამასთან, კონცეფციაში მითითებული ,,გამწვანების რეგლამენტი" გვ.59 დაბალი გარჩევადობისაა და არ იკითხება.

- დოკუმენტში უნდა აისახოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებას და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N159 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის" მოთხოვნების შესაბამისად.

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წერილში N06-1422202581 მეჯინისწყალში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი მითითებულია - N05.32.09.977, ხოლო სკრინინგის განცხადებაში ს.კ. № 05.32.09.877; თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით განაშენიანების დეტალური გეგმა მომზადებულია ქ. ბათუმში, დასახლება მეჯინისწყალში (ფ. ხალვაშის ქ. 188) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 05.32.09.877) საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის მიზნით. ასევე, წარმოდგენილია ,,ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანბების დეტალური გეგის შემუშავების თაობაზე" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 8 დეკემბრის ბ14.14213423 ბრძანება, რომლის მიხედვითაც ინიცირებული უნდა ყოფილიყო N05.32.09.877 მიწის ნაკვეთზე მრავაფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით წარმოდგენილი გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების

დეტალური გეგმის შემუშავება. ამასთან, სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფციის მიხედვით, ინიციატორის თავდაპირველი მოსაზრებით გეგმარებითი ერთეული და გეგმარებითი ტერიტორია შედგებოდა მხოლოდ (ს.კ. 05.32.09.877 მიწის ნაკვეთისგან (ფართობით 140551 კვ.მ). ასევე დოკუმენტის მიხედვით, **"საბოლოოდ დაზუსტებულ გეგმარებით ერთეულში მოექცა"** 6 მომიჯნავე მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.32.31.010, ს/კ 05.32.09.740, ს/კ 05.32.09.743, ს/კ 05.32.09.744, ს/კ 05.32.09.349, ს/კ 05.32.09.524) . ამასთან, წარმოდგენილი shp. ფაილების მიხედვით ფართობი შეადგენს 15.6 ჰა-ს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა დაზუსტებული ინფორმაციის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა გეგმარებითი ერთეულის შემადგენელი მიწის ნაკვეთების შესახებ.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული შენიშვნების საფუძველზე განახლებული სკრინინგის განცხადებისა და სტრატეგიული დოკუმენტის კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენის შემდგომ სააგენტო უზრუნველყოფს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო